

1-85
1914

F

Н. Я. НИКОЛАДЗЕ



№ 5

2 თებერვალი 1914 წ.

თბილისის
გაზეთთა

მიიღება ხელის მოწირა

წლიური ფასი

== 3 მან. ==

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ

იური და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მისამე

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 9-3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზიტის: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. რეალურ მოსახლეობის მრინციბი.—ა—ისა.
2. გრ. თრბულიანის ძეგლი.
3. გრ. გველესიანის წერილის გამო.—*.*—სა.
4. შრესა.
5. შროგრამის შესახებ.—რ.
6. გ—ესი.
7. უკანასკნელი ამბები.
8. ბაყაყი და ხარი.—(არაკი) რიშ ბაბასი.
9. კეთილი სიტყვის გება.—შ. ამირე-ჯიბისა.
10. არაკია თუ სინამდვიდე?—ეგრისა.
11. მეტოქენი.—(მოთხრობა ა. ც. სნარსკისა) თარგმ. გ. ნამორაძისა.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ

„კლდე“-ზედ.

ფასი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით.	2 მან.
	3 თვით.	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

თბილისის
გაზეთთა
მიიღება ხელის მოწირა

რეალურ მოსახლე- ობის პრინციპი

ამა თუ იმ ერის ტერიტორიის გამორკვევის საკითხში რეალურ მოსახლეობის პრინციპს მთავარი ადგილი უჭირავს. ეტნოგრაფიას, ე. ი. რასიულ მოსახლეობას თან სდევს იურიდიული უფლება ამა თუ იმ ტერიტორიაზედ. ამ პრინციპის მიხედვით ქართველების ტერიტორია იქ უნდა იწყებოდეს და იქ უნდა თავდებოდეს, სადაც იწყება და თავდება რეალური მოსახლეობა ქართველობისა. მაგრამ ტერიტორიის გამორკვევაში არა ნაკლებ როლს თამაშობს აგრეთვე პრინციპი თვით ამ ტერიტორიის ცენტრ-მიმზიდველობისა. პირველ შემთხვევაში ერის რეალური მოსახლეობა საზღვრავს ტერიტორიას, მეორე შემთხვევაში თვით ეს ცენტრ-მიმზიდველობა პოულობს იმ ერს, რომელსაც უმრავლესობის პრინციპის მიხედვით აკუთვნებს ამ ტერიტორიას. ამიტომ როცა საქართველოს ტერიტორიაზედ არის მსჯელობა, როცა მის საზღვრებს ვარკვევთ, ორივე პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ; მით უმეტეს, რომ სწორედ ორივე მოვლენას აქვს აქ ადგილი. ჩვენა გვაქვს ნაწილები ტერიტორიისა, რომლებიც ქართულ მოსახლეობას წარმოადგენენ და გვაქვს ისეთი ადგილები, სადაც უმრავლესობას სხვა ერები შეადგენენ. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? უნდა უარვყოთ ასეთი ადგილები და გამოვყოთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებიდან, თუ მაგრად უნდა ვიდგეთ მაზედ და პირიქით ვეცადოთ, რომ ქართული მოსახლეობა გავაძლიეროთ იქ? პრესაშიაც და საუბრის დროსაც ეს უკანასკნელი გარემოება სულ უყურადღებოთ არის დატოვებული. ყველა ანგარიშს უწევს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მაგალითად, ბორჩალოს მაზრაში ქართველი მხოლოდ რვა ათასია დღეს. რვა ათასი ქართველის გულისთვის კი რა საჭიროა ბორჩალოს მაზრა ჩვენი იყვეს, ფიქრობენ ჩვენში, და თანახმანი არიან ეს ადგილები სხვას გაუბოძონ. მაგრამ არავინ არ ფიქრობს ხვალინდელ დღეზედ, არავინ არ ფიქრობს, თუ რეალურად არა, იურიდიულად შეინარჩუნონ ის ადგილები, რომ, როცა ხვალ საჭირო იქნება გამრავლებულ ქართველობის ნორმალურად დასახლება, ქართველი ერი, ნაციონალურ პრიორიტეტის მიხედვით, მივიდეს და იქ დასახლდეს. აი, როცა ასეთ საკითხს დაიყენებენ

წინ ქართულ საზოგადოებრივ აზრის ხელმძღვანელნი, მათთვის აშკარა გახდება, რომ შეუძლებელია ტერიტორიის საზღვრების გამორკვევა მარტო რეალურ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით, რომ საჭიროა აგრედვე გამორკვევა შემოსაზღვრული რომელი კუთხეებს აქვთ მიმზიდველობა ქართულ ცხოვრების ცენტრთან და რომელ კუთხეებზედ აქვს უფლება ამ ცენტრს გაავრცელოს თავის გავლენა. ამ მხრივ ორ ზემოაღნიშნულ პრინციპს, რომლებიც საზღვრავს ტერიტორიას, ემატება მესამე - ისტორიული. ისტორიულ უფლებასაც არ აქცევენ არავითარ ყურადღებას, მაგრამ სწორედ ეს ისტორიული უფლებაა, რომ ნებას აძლევს ქართველ ხალხს მივიდეს და თავის ძველ ბინაზედ დასახლდეს.

როდესაც ჩვენ საქართველოს სამზღვრებს ვარკვევთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს საითკენ იზრდება ქართული მოსახლეობა, ან საით უნდა გაიზარდოს? თუ ასეთ კითხვას დავაყენებთ, შემდეგს სურათს მივიღებთ: ჩრდილოეთით კავკასიის ქედი სძევს, რომლის გადალახვა შეუძლებელია, დასავლეთით შავი ზღვა სძევს და მხოლოდ აღმოსავლეთის და სამხრეთის ადგილებია, საითკენაც შეიძლება გაიხიზნოს გამრავლებული ქართველობა. ვინც თვალყურს ადევნებს, იმან უკვე იცის რა პროცესი ხდება ეხლა ჩვენში. მთა იყრება, თვით ხევსურებიც კი ბარში ჩამოდიან. ფშავ-თუშები ეხლავე არიან გასულნი ახალქალაქის მაზრაში - და წელიწადში ექვს თვეს იქ ატარებენ, იმერეთი დღეს არა-ხვალ უნდა გაიხიზნოს ახალ ადგილებში, რადგანაც, როგორც წინეთაც გვქონდა აღნიშნული, იმერეთს მიწის სივიწროვე ქრონიკულ სიმშობის უმზადებს და ეს გადასახლება აუცილებელივ საქართველოს აღმოსავლეთის და სამხრეთის პროვინციებისკენ უნდა მოხდეს. შესაძლებელია განა ასეთ პირობებში ხელის აღება იმ პროვინციებზედ, სადაც ქართველობა ნაკლებად მოსახლეობს? ჩვენ ვფიქრობთ რომ არა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს, იქნება კარების ჩაკეტვა ქართველებისთვის განვითარების გზაზედ, ეს იქნება იმ ხელოვნურ გალიის შექმნა, სადაც ჩიტი შეიძლება მოთავსდეს და ერი კი ვერა. პირიქით მთელი ჩვენი ყურადღება იქით უნდა იყოს მიმართული, მთელი ჩვენი ძალა იმას უნდა შევადიოთ, რომ რიცხ-მცირე ქართველობამ იმატოს ამ პროვინციებში და არა ის, რომ ეს მცირე რიცხვიანობა გახდეს მიზეზად ამ პროვინციებზედ ხელის აღებისა. გვიპასუხებენ, რომ მაშასადამე ჩვენ ქართველ ხალხს საბრძოლველად ვიწვევთ იმ არა ქართველ ადგილობრივ მკვი-

დრთა წინააღმდეგ, რომლებითაც არიან დასახელებულნი ეს შერეული პროვინციები. მაგრამ არავითარი აგრესიობა არ არის ამ მოწოდებაში! თუ ეხლა ბორჩალოს მაზრაში 65 ათასი სომეხია, ვინ გვიშლის ასი ათასი ქართველი დავასახლოთ იმ ბორჩალოში, რომლის მამულის უმრავლესობა ქართველობის ხელშია. ეს საკმარისია, რომ ეტნოგრაფიული სურათი ბორჩალოში სრულიად შეიცვალოს.

თუ ასე შევხედავთ საქმეს, ჩვენთვისაც ნათელი გახდება, რომ ტერიტორია ქართველის ხალხის განისაზღვრება იმ მიზნებით, რომელსაც დაისახავს ჩვენი ერი და ამ მხრივ უნდა ვიხელმძღვანელოთ არა მარტო რეალურ მოსახლეობის პრინციპით, არამედ იმ მთელ საქართველოთი, რომელიც შეიძლება კვლავ გახდეს ობიექტი ამ რეალურ მოსახლეობისა.

ა—ი.

გრიგოლ ორბელიანის ძეგლი

22 იანვარს დეპუტატთა საკრებულოში მოხდა კრება იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს თბილისის თავდაზნაურობისაგან თავად გრიგოლ ორბელიანის ძეგლის დადგმის საქმის მოწყობა.

კრებას დაესწრნენ კომისიის თავმჯდომარე ნ. ი. არჯევანიძე, წევრნი: თ-დი ნ. რ. ერისთავი, გ. დ. ვეზირიშვილი, გ. დ. ჟურული, ა. ი. ყანჩელი, და გ. ნ. დიასამიძე.

კომისიის სხდომაზედ თავმჯდომარისაგან მოწვეულნი იყვნენ აგრედვე შემდეგი პირნი: ე. თაყაიშვილი, გ. ლასხიშვილი, მხატვარი გ. ი. გაბაშვილი, მექანდაკე ი. ნიკოლაძე, ხუროთ მოძღვარი ს. კლდიაშვილი, პ. გოთუა, გ. ამირეჯიბი და შ. ამირეჯიბი.

თავმჯდომარემ ნ. ი. არჯევანიძემ უამბო დამსწრეთ საკითხის ისტორია, რომლის შემდეგ პოეტის ბიოგრაფიაზედ გადავიდა. ნ. ი. არჯევანიძემ მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ დაახასიათა პოეტის პიროვნება, ღვაწლი მისი ლიტერატურაში და სამოქალაქო სარბიელზედ.

ამას შემდეგ კრება შეუდგა პრაქტიკულ კითხვების გამოკვლევას. კრება შეეხო ადგილს, სადაც უნდა დაიდგას ძეგლი, ფონდს რომელიც არსებობს

ძეგლისთვის და იმას, თუ როგორი უნდა იყოს თვით ძეგლი. გამოითქვა სურვალი, ძეგლი უსათუოდ თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილას დაიდგას. დასწრეთა ნათქვამიდან გამოირკვა, რომ სულ უმცირესი თანხა ძეგლს ასაგებად უმეტეს ათას მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოს, ამ ეამად კომისიას მხოლოდ ოთხი ათასი აქვს.

ამას გარდა მექანდაკე ი. ნიკოლაძეს დაევალა შეამზადოს ახლო მომავალში ესკიზი ძეგლისა. ესკიზი უნდა წარმოადგენდეს კვარცხლბეკს, რომელზედაც იდგება პოეტის მთელი ფიგურა. ძეგლი უნდა იყოს სადა, რადგანაც თითქმის ყველა დამსწრეთა აზრით, პოეტის იმპოზანტურ, და ღრმად ორიგინალური ფიგურა არავითარ სიმვოლიკას არ საჭიროებს. დასასრულ კომისიამ დაადგინა მომავალ სათავად-აზნაურო კრებას სავსე მოხსენება წარუდგინოს საქმის ვითარების შესახებ.

ამ რიგად საქმე, ჩვენ უკვე დაწყობილად მიგვაჩნია და უსურვებთ კომისიას, რაც შეიძლება მალე დაავიზგვინოს იგი.

გრ. გველესიანის წერილის გამო

ბ-ნი გრ. გველესიანი გაზეთ „ერის“ მეათე ნომერში ეხება ფრიად საყურადღებო საკითხს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ქართველი საზოგადოება და კერძოდ თბილისის თავად აზნაურობა, თუ ტირიფონის ველი მართლა სამხედრო უწყების ხელში გადავიდა. ჩვენ ვიზიარებთ ბ-ნ გრ. გველესიანის აზრს, რომ უპირველესად ყოვლისა უნდა ვეცადოთ, რომ ეს არ მოხდეს. ვუერთდებით რა ავტორის აზრს, რომ ასეთი ჩასახლება შიგ შუაგულ ქართლში ასი ათასი ხალდათისა საუკეთესო საშუალებაა ასსიმილიაციისა, ჩვენ დაუმატებთ შემდეგს: ჩვიდმეტი ათას დესეტინა მიწის პოლიგონად გადაქცევის თან მოჰყვება საშინელი ეკონომიური კრიზისი. ტირიფონა და მისი მიდამოები ცენტრია ქართლისა, იგი იძლევა საკვებს (ხორბლისას, თივისას და ბზისას) მთელი ქართლისთვის. მომავალი ტირიფონაში მოუმცდარია და ამიტომ დაზარალებულ და შემოუსავლო წელიწადებში ტირიფონის შემოსავალი ერთად ერთი რეგულიატორია ხორბლის ბაზარზედ მთელს ქართლში. უნდა აიყაროს თორმეტი სოფე-

ლი, მაგრამ ფაქტიურად რჩება ორმოცამდე სოფელი, (როგორც სჩანს მოთავსებულია რუკაზედ) სულ უკანასკნელი ოცი ათასი სულით, აი რა მხრივ არის საშიში ტირიფონას პოლიგონად გადაქცევა. თუ სამხედრო უწყებას ასეთ მოსაზრებას წარმოუდგენენ დაინტერესებულნი პირნი, ჩვენ არ გვგონია, მან ხელი არ აიღოს თავის განზრახვაზედ. რამდენადაც ჩვენ ვიცით, სწორედ ასეთ მოსაზრების წარდგენას აპირებენ დაინტერესებულნი სოფლები და პირნი. ქართველმა საზოგადოებამაც ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ საღმა მოსაზრებამ გაიმარჯვოს.

მაგრამ შეიძლება საღმა მოსაზრებამ არ გასჭრას. შეიძლება ტირიფონა მართლა სამხედრო უწყების ხელში გადავიდეს და აი, სწორედ ასეთ შემთხვევისთვის გამოდის ბ-ნ გრ. გველესიანი თავის პროექტით. იგი ურჩევს თავად-აზნაურობას ეს თორმეტი სოფელი საბურთალოზედ დაასახლონ; ხელი შეუწყონ მათ მოშენებას თბილისის მიდამოებზედ, რომ ქართულმა ელემენტმა თბილისში იმეფოს. ჩვენც იმ აზრისანი ვართ, რომ თბილისის თავად-აზნაურობას შეუძლიან საზოგადოთ ასეთი საქმის გაკეთება. მას აქვს მიწები საბურთალოზედ, მას აქვს შეძლება, რომ ასეთ პოლიტიკას დაადგეს: მაგრამ ამ 12 სოფლის საბურთალოზედ დასახლების შესახებ, მოვალედ ვრაცხთ ჩვენი აზრი გაუზიაროთ ბ-ნ გრ. გველესიანს. თუ ჩვენთვის საჭიროა თბილისში გამრავლება, ეს გამრავლება ღონიერ და მომზადებულ ელემენტთა ხარჯზედ უნდა ხდებოდეს. ასეთ ელემენტებად ჩვენ მიგვაჩნია ისეთი წრეები რომელნიც თავიდანვე შეჩვეულნი არიან ქალაქურ ცხოვრებას. თუ ჩვენ ასეთ ელემენტებს დავასახელებთ თბილისში, ისინი საიმედონი იქნებიან და იქიდგან აღვილად ვერ გამოირეკებიან. რაც შეეხება ამ თორმეტ სოფელს, ისინი სულ სხვა ელემენტებისაგან შესდგებიან. ესენი ტიპიური სოფლები არიან, მხენილი და მთესველნი, ისინი რომ თბილისში მოხვდნენ, იმდენ მიწას ვერ იშოვიან, რომ ძველებურად ხვნა თესვას მიჰყვნენ. მეორეც ესა, არც თუ სასარგებლო იქმნება მათთვის ეს მეურნეობა ქალაქში, მასაშადამე მათ მარტო ასი-ათასი საყენი სამოსახლო მიწები უნდა შეიძინონ და შეუდგენ საშოვარის ძებნას. და განა რა პროფესიონალურის ცოდნით? ქალაქურ პირობებთან ძნელ ბრძოლაში, ბევრი მათგანი ვერ შესძლებს შეასრულოს თავისი მისნია და ექვი არ არის, უმრავლესობა პირველ წელსავე დაანებებს თავს ქალაქურ ცხოვრებას. საკმარისი არ

არის ხელმძღვანელობა კარგის იდეით, მას შესაფერი კონკრეტული ფორმებიც უნდა გამოენახოს განსახორციელებლად და, ჩვენის აზრით, ბ. გველესიანის ფორმა მეტად სუსტი გამოდგება და ამით მავნებელიც იმდენად, რომ სწორედ სამხედრო ელემენტებს უნდა პირს ჩვენკენ აბრუნებინებდნენ. საბურთალო და მისი მიდამოები, როგორც ქალაქის ახლო მდებარე ძვირფასი მიწა, სახნავ-სათესად ვერ მოსცდება—აქ აუცილებლად ინტენსიური მეურნეობაა საჭირო, რომ აანაზღაუროს საკუთარი მიწის მნიშვნელობა (ამისათვის კი ტირიფონის გლეხობა სრულებით მოუმზადებელია) და გადმოსახლებულნი, რაც უნდა ფული ჩააყაროთ, **სამუშაოს** ვერას ააწარმოებენ, როგორც უჩვეულო პირობებში მყოფნი და იძულებულნი იქნებიან აიყარონ რუსების „პერესელენცებისა“ ფული შექამონ და მიწა კი სხვას მიჰყიდონ, რომ თავის ექსტენსიურ-პრიმიტიულ მეურნეობისათვის უფრო ფართო და ხელსაყრელი ადგილები გამოენახონ.

ამიტომ ვიზიარებთ რა გრ. გველესიანის აზრს, (როგორც თვითაც გვქონდა ნააზრევი) რომ ქალაქს შემატება უნდა ქართულის ელემენტებისა, ჩვენ სულ სხვა მხარეს ვეძებთ ამ ელემენტებს და საერთო ძალით იქნებ კიდევაც მოვნახოთ ისინი.

**

შ რ ე ს ა

გაზ. „ერის“ 18 იანვრის ნომერში დასტამბულია საყურადღებო წერილი ბიქტორ ასათიანისა. ავტორი ეხება ჩვენი არსებობის ერთ უმწვავეს საკითხს, ჩვენი ტერიტორიის შენარჩუნებას. იგი მოუწოდებს ჩვენი საზოგადოების ყველა ნაწილს, სხვათა შორის სამღვდელოებსაც სამოქმედოთ და უთითებს იმას, თუ რა მოიმოქმედა პოლონელმა ერმა და როგორ გადაარჩინა სამშობლო „გერმანელ შოვინიზმის იარაღად გამხდარ ებრაელთა“ ეკონომიურ მონობისაგან. ავტორი ეთანხმება ჩვენი თანამშრომელის ბ. ა—ის მოსაზრებას:

... „შარათაჲსა ჟურნალი „კლეჯ“, რომელიც ამბობს, რომ ნავთლუდის ქარები ისევე ჩვენა ქარებიანო. შეიძლება მოვიდეს დრო, რომ სოფლადგულებმა და სხვებმაც მათეფოს ნავთლუდი, მაგრამ ქართველმა გერმანადეს ვერ დასთმობს თავის ტერიტორიას“...

და მოჰყავს ანალოგიური მაგალითი, რომელიც პროფ. ლუდვიგ ბენჰარდმა აღწერა პრუსიის პოლონეთში მცხოვრებ ებრაელების შესახებ. რომელიც მოცდაათი წლის განმავლობაში პოლონეთი ისე მოლონირდა, რომ 21 და 55 პროცენტადან ებრაელთა რიცხვი 4 და 7 პროცენტამდე ჩამოვიდა. აგრევე მოხდება უთუოდ საქართველოშიაც და „ნავთლულ - სოლოლაკის ახლანდელი ბატონები იქითვე გაფრინდებიან, საიდანაც მოფრენილანო“, თუ ჩვენც გამოვიჩინოთ პოლონელებისებურ ცხოვრების უნარსო.

მათმა თავდადებულმა კულტურულმა მუშაობამ იხსნა პოლონეთის ტერიტორია გერმანელთა ტალღის წაღვეისგან, და, როდესაც გერმანელთა პრესორმა ბერნჰარდმა შეცნაურულად დაამტკიცა, რომ გერმანიის სახელმწიფოებრივობის ძალისა და ქანების, სუსტ პოლონელთა მიერ დამარცხების მიზეზები იმალება დაზარალი ერების საერთო მისწრაფებით გამსჭვალვისა და ბრძოლის საიდუმლოებაში, საუკეთესო სახაბი მიეცათ გერმანულ შოვინისტებს, ისეთივე ბრადებანი შეეთხათ პოლონელი სამღვდელთა წინააღმდეგ, როგორც დად ჩვირად ამკობენ ჩვენს სასულიერო წოდებას უსტორგოვისებური კაციჭამიები. აი, ზასუხიც, რომელაც გასცა პოლონელთა სამღვდელთა წარმომადგენელმა კაზიმირ ციმერმანმა გერმანელთა შოვინისტურ პრესას:

„კათოლიკე სამღვდელთა სოციალური მოღვაწეობის Magna charta-დ ითვლება ენციკლიკა „*rerum novarum*“ 15 |, — 1891 წლ., რომელიც მიმართულია მეუხშეთა მიერ ერის გაუფლუის წინააღმდეგ და რომლის დაგზავნითაც გახსვენებულმა არქივისკომისმა შტაფფსკიმ მოუწოდა პოლონეთის სამღვდელთა - ეზრუნათ ხალხის ზნეობრივს, ეკონომიურ აღარძინებისთვის, ორგანიზაციების საშუალებით. თუ კათოლიკური ეკლესია მოითხფს თავის მსახურთაგან, რომ შეებრძოლოს ღოთობასა და ერის მეუხშეთ, რომლის შესრულებაც შეუძლებელია ძველებური ბასტარიზაციით (ქდაგებით), სამღვდელთა მოვალეა ამისათვის შესაფერისს თანამედროვე საშუალებათ: პრესას, წრეებს და ამხანაგობათ მიმართოს.“ სუთუ დღევანდელს ისტორიულ მომენტში საქართველოს მართლმადიდებელი და მამუდიანი სამღვდელთა ვერ გამოსძინის თავის „*Rerum novarum*“-ს და უმაქმედოდ იქნება, როდესაც მათს სამწესოს, საქართველოს, ძაღდატანებით მოსპო-

ბას უზირებენ? ჩვენ არას ვიტყვით კათოლიკე ეკლესიაზე, რომელმაც დასკულად შესრულა თავისი მოვალეობა პოლონელთა ერის ცხოვრებაში. ჩვენ დამადა გვწამს, რომ კათოლიკეთა ეკლესია საქართველოშიც არ უღალატებს თავის ტრადიციას. ამ წერილით ჩვენს გვსურს უურადღებო მიუაქციოთ მართლმადიდებელისა და მამუდიანი ეკლესიებისა და სარწმუნოებას გარეშე შეფთის ქართველი ინტელიგენციისა იმ გამანადგურებელ ცეცხლზე, რომელიც ახლო სომხის ბურჟუაზიამ. ასეთ შემთხვევაში თავისუფალი ერები, რომელთა „თავისი თავიც თვითვე ეუუღნის“ გამოაცხადებენ ისეთს წესებს, რომელიც გამოიხატება ერის დაცვის სასარგებლოდ კერძო პირთაგანის თავისუფლების შეზღუდვაში.

პროგრამის შესახებ

„სახალხო გაზეთმა“ კვლავ მოიცალა ჩვენთვის და ჩვენ ტყისაკენ გამოინადირა. ამ ჟამად, მადლობა ღმერთს, ქვა და გუნდას კი არ გვაყრის, ზომიერის ენით გველაპარაკება ჩვენ — „ზომიერებს“ და, მაშასადამე, საშუალებას გვაძლევს დინჯად ლაპარაკისას; ესეთი საქმეური კილო მადლობის ღირსიც იქნებოდა, რომ „სახალხო გაზეთს“ თავისი უცოდინარობა ჩვენზედ არ გადმოჰქონდეს და იმას, რასაც თვითონ ვერ მიმხვდარა, ჩვენს „გამოურკვეველობას“ არ აბრალებდეს. ჩვენ კარგად ვიცნობთ ჩვენს მკითხველებს და, სრული იმედი გვაქვს, ისიც იმდენად გვიცნობს, რომ ჩვენი „დეკლარაციის“ თუ „პროგრამის“ ჩარჩოებს კი არ ეძებს, არამედ შინაარსს და ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენს ჟურნალს, — იმან იცის, ამოკითხული აქვს ყოველ სტრიქონში ჩვენი პროგრამა, რადგან ჯერ ვერავინ გვიკითხინებს, რომ ჩვენი „გამოურკვეველობა“ (?) რომელიმე წინააღმდეგობაში გამოჩენილიყვეს ჩვენ მიერ აღიარებულ მისწრაფებაში. ჩვენი მკათიო, გარკვეული გზა, რომელსაც მივსდევთ ეროვნულ თუ სოციალურ საკითხებში, ჩვენი ერთგვარობა ბეჭდვითი თუ ზეპირ სიტყვაში ეკონომიურ საკითხებში და შექლებიის და გვარი მოქმედება, კონკრეტულად ჩვენი იდეების ცხოვრებაში გასატარებლად, — მგონი, არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს და მით უმეტეს „სახალხო გაზეთისათვის“, რომლის წარმომადგენლებთან მუდამ

დღე გვიხდება ხან ბრძოლა და ხან ერთად სიარული სხვა და სხვა სფეროში.

მაშ რას ნიშნავს ასეთი მაღალფარდოვანი მოკითხვა ჩვენი პროგრამის და ტაქტიკის ჩარჩოებისა? ტრაფარეტული ძებნაა ესა ჩვენი „იარლიკისა“, თუ ნამდვილი წადილი ჩვენი რეალური სახის გათვალისწინებისა? თუ პირველია, არ გვიკვირს: ის პარტია, რომელსაც ხალხიც და იდეებიც შემოეფანტა და მარტოოდენ „იარლიკი“ შერჩა—ეს ბუნებრივია—ეძებს თავისსა ფერსა. მაგალითად, „რითია ცუდი ის, რის განხორციელებასაც აპირებენ სოც.-ფედერალისტები“-ო, კითხულობს „სახალხო გაზეთი“. ცუდი იმით არის, რომ იგი არ შეეფერება ჩვენი ქართული ცხოვრების სინამდვილეს და მეორეც, რაც უმთავრესია, სოც.-ფედერალისტები არაფერს არ ანხორციელებენ, არ ამაგრებენ თავის პოზიციებს, პირიქით ყოველთვის ყალბ მდგომარეობაში აყენებენ თავისიანებსაც კი (საბუთები მერე იყვეს). და თუ მეორეა, ე. ი. ნამდვილი სახის ძებნაა, ჩვენ გვიკვირს: 1912 წლ. 16 ენკენისთვიდან დღევანდლამდე ჩვენს სულისწრაფვას ყოველ ფეხის გადადგმაზედ ვბეჭდავთ, ვამბობთ, ვანხორციელებთ, ხალხს ვიკრებთ ამით, და „სახალხო გაზეთს“ ვერ გამოუცენია. ნეტა ნამდვილს ჩვენს მტრებსაც გადაჰკროდეთ ემაგრე ბისტი თვალეზზედ, თორემ, საუბედუროდ ისინი კი გვბედავენ და გრძნობენ ჩვენს მისწრაფებათ, რადგან მართლაც თითქმის ვერ დაასახელებთ საკითხს, ეროვნულის, სოციალურის, პოლიტიკურის თუ ეკონომიურის ცხოვრებისას, რომ ჩვენ გარკვეული პასუხი არ მოგვეწოდებინოს საზოგადოებისათვის; და თუ ჩვენ ყველა ამას თავს არ უყრიდით ერთ „პროგრამისებურ“ დებულებებში იმიტომ კი არა, რომ ეს დებულებანი გამოურკვეველნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ თავიდანვე სხვა გზა ამოვირჩიეთ, გზა ემპირიული, კონკრეტული და საზოგადოებრივი ასვლისა და ამით ავიცდინეთ თავიდან უნაყოფო კამათი, პოლემიკა და თეორეტიული ბრახა-ბრუხი ჩვენი პოლიტიკური პარტიებისა. ჩვენი გზა უფრო ძნელია სავლელად, უფრო მძიმედ იზრდება ჩვენი ბანაკი, ვიდრე გაიზრდებოდა იგი პროგრამულ დებულებათა დეკლარაციით, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ უზრუნველყოფილნი ვართ იმ მხრით, რომ ჩვენი ნაქადაგები, თუნდ მცირე მაშტაბით, ცხოვრებაში ფეხს იკიდებს და ხორცს ისხავს ქართველ ერის საკეთილდღეოდ.

ავირჩიეთ იმიტომ, რომ ჩვენის აზრით, თვით

ცხოვრების რეალურ პირობებში უნდა ყალიბდებოდეს წვრიმალები პარტიულ შეჯგუფებისა, ე. ი. დამყარებული იყვეს რომელიმე განსაზღვრულ ინტერესების ნიადაგზედ და არა პარტიული ეკიდოს, როგორც ამას დღეს ს. ფერიების ბანაკში ვხედავთ.

და თუ „სახალხო გაზეთი“ ვერ ხედავს ჩვენი ეროვნული პროგრამის ფარგლებს და მარტო სხვათა პროგრამების უარისმყოფელად გვიცნობს—ეს მისი საკუთარი უნარიანობის ბრალია: ვისაც გულწრფელადა სურს (სიავითა და სიკარგით) ჩვენი ცნობა—ისინი გვიცნობენ და „სახალხო გაზეთისაგან“ ბოძებული დიპლომი ჩვენის გამორკვეულობისა არა სჭირიათ. რაც შეეხება იმას, რომ სოც.-ფედერალისტების ბანაკს და სხვათა,—ეთიშება უკიდურესი ნაციონალიზმით და ბურჟუაზიული ტენდენციებით მშობრავი ელემენტები—ეს ორგვარად დამახასიათებელია ს. ფერიებისა: ჯერ ერთი მართალნი ყოფილან მაშასადამე სოც.-დემოკრატები, როცა უკიყინებდნენ ს.-ფ.—ებს, რომ მათი ბანაკი ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ ელემენტებით არის შევსებულიო (ე. ფ.—ები კი ამას გაცხარებით ეწინააღმდეგებოდნენ და დღეს თვითონ აღიარებენ) და მეორეს მხრით ეს მაჩვენებელია იმისა რომ ს.-ფ.—ბმა უკანონოდ მიიტყუილეს თავისი უმრავლესობა თვალთმაქცური ეროვნული პროგრამით (რომელიც ცხოვრებაში გარიყული რჩება თავისი უნიადგობით). ჩვენ ვამბობთ უკანონოდ, რადგან ღრმად გვწამს, რომ სოციალიზმი იმ სახით რა სახითაც იგი ჩამოყალიბდა ს.-ფ.—ების პროგრამაში, მარტო „ტაქტიური“ მოსაზრებით იყო დართული, (დროის მიხედვით, ე. ი.) და შემდეგ კი ამ ბალასტმა მთელი ბალონი დასძირა. ეხლანდელი მდგომარეობა მარტო ფართხალია ამ ბალასტის ქვეშ და იმდენი მოქალაქობრივი ძალაც სადაა, რომ ეს გულახდილად აღიარონ. „იარლიკს“ შინაარსი შეეწირა და მარტო ამით აიხსნება, რომ არც ერთს დიდს საჭირობოროტო თანამედროვე საკითხზედ „სახალხო გაზეთი“ პასუხს არ იძლევა, ან თუ იძლევა ისე, რომ „СВОЯ СВОИХЪ НЕ ПОЗНАША“ გამოდის.

რ. გ.



ქ. ღ. უ. ი. ფ. ი. ა. ნ. ს.



რა უნდა ვსთქვა? დღეს იმდენი კოცნა უძღვნეს მაგ შენს ტუჩებს, რომ აწ, ახლა ჩემი კოცნა სიტყვებს ველარ შეაქუჩებს.
 უნდა ვსთქვა, რომ როგორც კაცი შენ ხარ კარგი, ყველას მჯობი?
 უნდა ვსთქვა, რომ ხარ უხუცეს მსახიობთა-მსახიობი?
 უნდა ვსთქვა რომ ქართულ სცენას საძირკველი ჩაუყარე და ამითი ჩვენ, ქართველებს ქართველობა შეგვაყვარე?—
 ვერრას გეტყვი! გადახედე აქ შეკრებილ ქართველ ერსა და მოისმენ ყოველივეს და გაიგებ ყველაფერსა!..

ი. გრიშაშვილი..

თბილისი 26 იანვ.

1914 წ.

უკანასკნელი ამბები

თავადი ი. მ. თარხან-მოურავი. ხუთშაბათს 30 იანვარს ვერის წმიდა ნიკოლოზის სასაფლაოზედ მიწას მიაბარეს გვამი პოლკოვნიკის თავად ი. მ. თარხან-მოურავისა. განსვენებული უკანასკნელ დროს თბილისში სცხოვრობდა და მხურვალე მონაწილეობას იღებდა სათავად-აზნაურო საქმეებში და კრებებში განსვენებული არას დროს არ გამოდიოდა ამ კრებებზედ სიტყვებით და ამიტომ ბევრმა იქნება არც კი იცოდა მისი მიმართულება სხვა და სხვა საზოგადო საკითხებში, მაგრამ იგი ეკუთვნოდა იმ რიცხვს ადამიანებისას, რომლებიც ყოველ კეთილ საქმეს სიხარულით ეგებებიან, და მხარს უჭერენ. სიკვდილი მისი უეცრივი იყო და ბევრი მისი მახლობელი და ნაცნობი გულწრფელად დაალონა:

სამაზრო მარშლის არჩევანი. ქართველმა საზოგადოებამ იცის, რომ დღეს თბილისის მაზრის მარშალის არჩევანია. როგორც გავიგეთ, ხუთს კანდიდატს ასახელებენ: ვასილ დავითის ძე გაბაშვილს, დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილს, ნიკოლოზ ივანეს ძე საგინაშვილს, ლევან ლუარსაბის ძე მაღალაშვილს და გიორგი ესტატეს ძე მუხრანსკის. მაგრამ ჩვენ სარწმუნო წყაროდან ვიცით,

რომ ნ. ი. საგინაშვილი უარს ამბობს თავის კანდიდატურაზედ; ამ რიგად რჩება ოთხი კანდიდატი რომელთაგანაც სერიოზულ მეტოქეებად მარტო ვ. დ. გაბაშვილი და დ. ე. ჩოლოყაშვილი უნდა ჩითვალოს. ვინ გაიმარჯვებს ამ ორში ძნელია სათქმელად, თუმცა ამბობენ, რომ ვ. დ. გაბაშვილს შეიძლება მეტი ხმა ამოუვიდეს.

დებუტად გელოვანის საქმე. გაზეთ „რუსკოე სლოვოს“ ამა წლის 24 იანვრის ნომერში დაბეჭდილი წერილი დებუტატ ვ. გელოვანისა რედაქციის მიმართ:

„დაბეჯითებით გთხოვთ მოათავსოდ თქვენი პატივცემულის გაზეთის ფურცლებზე შემდეგი ჩემი განცხადება:

„რუსკოე სლოვოში“ გადმობეჭდილი იყო ქართული გაზეთის „ფიქრის“ წერილი ჩემდამი ასეთის სათაურით „ბრალდება დებუტატ გელოვანის წინააღმდეგ“, ამით ვაცხადებ, რომ ყველაფერი, რაც მოყვანილია ამ ბრალდებაში ჩემს წინააღმდეგ — გარდა საკასაციო საჩივრის ვადის გაშვებისა, რის აღსადგენად მაშინვე იყო მიღებული ზომები, — მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა, და ამას დავამტკიცებ სასამართლოს საშუალებით. ამასთანავე უნ-

ანის ხსოვნის აღსანიშნავად დასახელებული შარ-
 შანდელ თავ.-აზნ. საზოგადო კრებაზედ. როგორც
 გამოირკვა, ნინო ბეჟანის ასულმა ყიფიანისამ და
 კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანმა უარი სთქვეს
 დიმიტრისეულ მამულის გადაცემაზედ თავად-აზნა-
 ურობის ხელში, რადგან თ.-აზნაურობას ვერ შე-
 ეძლო შეესრულებინა მათი მძიმე პირობანი. ამი-
 ტომ კომისიამ ითათბირა მხოლოდ, რომ უსახსრო-
 ბისა გამო ცოტ-ცოტა მაინც გადაიდოს ყოველ-
 წლივ თანხა რამე ამ საქმისათვის. საკითხი გადაეცა
 განსახილველად დეპუტატთა საკრებულოს.

რედაქციას მოუვიდა და იქვე იყიდება იასონ
 კერესელიძის გამოცემული პატარა წიგნი „აჭარის
 მთავარი ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი“ — ავტსენტი
 აბესაძისა. წიგნი სუფთად არის გამოცემული, შეი-
 ცავს 40 პატარა გვერდს და ღირს ერთი შაური.

ბაყაყი და ხარი

(ა რ ა კ ა).

ბაყაყმა თავის წუმბიდგან დაინახა საძოვარზედ
 ხარი. შეშურდა ხარის სიდიდე და მოინდომა მისი
 სიმსხო გამხდარიყო.

გაიბერა. ეუბნება თავის მოძმე ყიყინასა: „აბა
 ერთი შემომხედე, ხარის ხელა არა ვარო?“

— ჯერ კი არა და ცოტა რამ გიკლიაო.

კიდევ უფრო გაიბერა: „აბა ახლა ხომ მივა-
 წიე ხარის სიმსხოსაო?“

— ჰო, ახლა კი სწორედ ხარის ოდენა ხარ!...
 ვგონებ, ცოტა მეტიცაო.

გაეხარდა ყიყინას, დაუძახა ამხანაგებსა: „მო-
 დით, ნახეთ ხარის ოდენა ბაყაყი მოგვევლინაო!“

დაიძრა მთელი ბაყაყეთი. მივიდნენ, ნახეს,
 გაჰკვირდნენ. შეაქეს. და მას აქეთ არის წუმბედან
 ისმის: „დიდება ჩვენდა, ხარის ოდენა ბაყაყი მოგ-
 ვევლინაო!“

*

მკითხველო, შენ კი ეგრე არ გიძახნია?

რიშ ბაბა.

კეთილი სიტყვის გება

თავის წერილში ი. გედევანიშვილი

დაამტკიცოს, რომ თუ „კლდე“ „გაიბუტა“ და დრა-
 მათიულ საზოგადოებას ბილეთი უკან დაუბრუნა,
 მხოლოდ იმიტომ რომ „უფასოდ თეატრში არ შე-
 მიშვეს“. რას ეძახის ბ. გედევანიშვილი თეატრში
 უფასოდ შესვლას? თუ იგი ფიქრობს, რომ მე მივე-
 დი თეატრში როგორც შალვა ამირეჯიბი და ვისმეს
 ვეღრიჯე თეატრში უფასოდ შეშვებას, არა მგონია
 ბ. ი. გედევანიშვილი ჩემზედ ასეთის მდარე წარმო-
 დგენისა იყოს. რაც უნდა იყოს, ისეთ ასაკში ვარ,
 რომ თეატრში უფასოდ სიარულს არ ვიკადრებ. ხოლო,
 თუ სარედაქციო ბილეთით სიარულს ეძახის ბ. გედევა-
 ნიშვილი უფასოდ სიარულს, გულწმინდათ მწყინს, რომ
 ასეთის აზრისა ყოფილა დრამატურგი და წევრი დრა-
 მათიულ საზოგადოების გამგეობისა. მე ვფიქრობ ბ.
 გედევანიშვილმა სწორედ ისა სთქვა, რაც არ უნდა
 ეთქვა. ნუ თუ პრესის წარმომადგენელი თეატრში რომ
 სარედაქციო ბილეთით მიდის, იგი უფასოდ მიდის?
 ნუ თუ პრესა არ ემსახურება თეატრსაც და ნუ თუ
 გაზეთი, რანაირიც უნდა იყოს, იმდენს არ აკეთებს
 თეატრისათვის, რომ ორ მანეთიან ბილეთის ფასი
 აუნაზღაუროს. ჩემის აზრით ასეთი შეხედულობა
 დამამცირებელია თვით ი. გედევანიშვილისა, ქარ-
 თულის თეატრისა და მეტადრე იმ გაზეთის, რომე-
 ლიც ასეთ წერილს შენიშვნასაც არ უკეთებს. ჩვენ
 კი ვიცით რომ ერთხელ ქართული თეატრის ადმი-
 ნისტრაციას და „სახალხო გაზეთს“ შორის დიდი
 უთანხმოება იყო, და თუ არა ვსცდები, სწორედ ამ
 ნიადაგზედ.

შემდეგ ბ-ნი ი. გედევანიშვილი ბრძანებს: სჩანს
 თუ მუქთა (კიდევ მუქთა!) ადგილები გექმნებათ—
 თეატრი გინდათ, თუ არა და მთელ ქართულ ხე-
 ლოვნებას და თეატრს უწყრებითო. მე მიკვირს სა-
 იდან შეითვისა ბ. გედევანიშვილმა ის უცნაური აზ-
 რი, რომ რაკი დრამათიულ საზოგადოებას მათი
 „უფასო“ ან რაც უფრო კარგია, — „მუქთი“ ბილე-
 თი დაუბრუნეთ უკან, ამით ქართულ ხელოვნებას
 შემოვწყურით? ჩვენთვის ქართული თეატრი და ხე-
 ლოვნება ერთია, ქართული თეატრის ადმინისტრა-
 ცია მეორე და როცა ბ. ბ. ავალიშვილით, ერის-
 თავით და გედევანიშვილით ვართ უკმაყოფილონი,
 რათა ფიქრობენ ეს პატივცემულნი გვამნი, რომ

ქართულ ხელოვნებით ვართ უკმაყოფილონი! განა ისინი ხელოვნებანი არიან?

ბ. ი. გედევანიშვილი მე ბავშვობას მიკვირებს და რაღაც ტკბილსა და წვნიანებზედ ლაპარაკობს. მე კი იმ აზრისა ვარ, რომ არც თუ ხნიერ ადამიანების საქმე ასეთი ალფეგორიებით წერაა.


საქმე „მუქთი“ ადგილი კი არ არის, ან „უფასო“ ბილეთი, საქმე ის დამოკიდებულობაა, რომელიც უნდა არსებობდეს თეატრსა და პრესის შორის. ქართული თეატრი, რასაკვირველია, დიდი დაწესებულებაა, ჩვენ კიდევ ვივლით იქ, რაც უნდა ავალიშვილისთანა ცერბერები დააყენონ მის შესავალში, მაგრამ გედევანიშვილმა, როგორც მწერალმა, უნდა იცოდეს, რომ გაზეთიც დაწესებულებაა და როცა მის უფლებას სთელავენ — ეს ურიგობაა. მე ამან ამაღელვა და ამიტომ განვაცხადე პროტესტი. თორემ მუქთი ადგილი რომ მდომოდა, მე შემეძლო მესარგებლა თავად ერისთავის მასპინძლობით და პირველ რიგში დავმჯდარიყავ. მაგრამ ეს არ ჩავიდინე და სწორედ იმიტომ, რომ მუქთი ადგილის წინააღმდეგი ვარ. ბ. ი. გედევანიშვილი ამას ანგარიშს არ უწევს და გაზეთის საშუალებით მთელ ქვეყანას ატყობინებს შ. ამირეჯიბმა იმიტომ ასტეხა აურზაური, რომ თეატრში მუქთად არ შეუშვიოთ, საკადრისია განა ესა?

რასაკვირველია მე ეხლა ვნანობ, რომ ჩემი პირველი წერილი დავბეჭდე. და ვნანობ იმიტომ კი არა, რომ ამის საბუთი არა მქონდა, ვნანობ იმიტომ, რომ ბ. ი. გედევანიშვილს მუდამ ვსთვლიდი არა მარტო კარგ დრამატურგად, არამედ ჯენტლმენადაც, რომელიც არ იკადრებდა ფაქტების გადასხვაფერებას.

შ. ამირეჯიბი.

ბატონი ბ. ი. გედევანიშვილის წერილის შემდეგ ჟურნალ „კდილს“ რედაქცია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ იგი არ შესცდა, როცა დრამატულ საზოგადოებას ბილეთი დაუბრუნა. რედაქცია ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, რომ ქართული თეატრის სათავეში სდგანან ისეთი პირნი, რომლებსაც ასე შეუძლიანთ წერა. ამიტომ ხელმეორედ ვამოწმებთ, რომ სარედაქციო ბილეთით ჩვენ აღარ ვივლით და ვეცდებით ფული გავილოთ, თეატრში სიარულისთვის. რედაქცია ამასთანავე გამოსთქვამს თავის მწუხარებას, რომ „სახალხო გაზეთმა“ საკმაო მიუკერძოებლობა ვერ გამოიჩინა და ისეთი წერილი დაბეჭდა,

საზოგადოთ პრესაზედ იყო ცილის წამებითი ლაპარაკი და მერე კერძოთ ჟურნალ „კლდეზედ“.



ქართული
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

არაკია თუ სინამდვილე?

ვახუშტი თავის გეოგრაფიაში (გვ. 410) გვაცნობებს, რომ ვახტანგ გორგასლანმა უძვირფასესის კანკელით (ИКОНОСТАСЪ) გაამშვენაო მცხეთის ტაძარი, მისგან აგებული და შესრულებული დაახლოვებით 494 წ.

იგივე მეფისშვილი გვიამბობს, რომ ის დიდებული კანკელი იმის შიშით, რომ ასეთი ძვირფასი განძი მტრებმა არ წაგვართვანო, ჩვენმა მეფეებმა სვანეთის სოფელ ლაშხეთში წაიღეს და ეწერაშიო.

უკანასკნელს ჩემს გამგზავრების წინ სვანეთში მომიხდა ლამის გათენება მოხუცებულ მღვდლის ს. დ—ის სახლში ლეჩხუმის სოფელ ცაგერში, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირისკენ, სამიოდ ვერსზე მუხისციხიდან ორბელისციხისკენ მიმავალ გზაზე.

ამ მოხუცებულმა მღვდელმა გადმომცა შემადრწუნებელი ამბავი იმ კანკელზე. ის კანკელი ზემოსვანეთიდან რამდენისამე ასის წლის წინად ლაშხეთში გადმოუტანიათო. ცნობილს ლევაშოვს ბრძანება გაუცია, ეს საუნჯე სვანეთიდან ქუთაისში გადმოეტანათ და სვანებისთვის სამაგიერო ახალი გავეზავნათ. სვანებმა თავის შხრებზე წაიღეს ეს კანკელი ლევაშოვთან და მას აქეთ დაბრუნებული არ მიწახავსო. სვანებმა ეს კანკელი თვითონ აქ, ამ ჩემს კარის წინ გამოატარეს. „მარჯნის კანკელი იყო“ თვლებით შემკობილიო.

ვისაც ვკითხე, ზოგმა დაამოწმა მ. დ—ს სიტყვა, ზოგმა არვიცობით მიპასუხეს. სარევიზიო საქმისთვის გამგზავრებულს, გულში მედო, დაბრუნებისას გამეგო ნამდვილი ამბავი. სამწუხაროდ ავად გავხდი და აჩქარებით დავაგდე სვანეთი. მეორედ წასვლა არ მომიხდა. მღვდელი ს. დ—ი ძველებური კაცია, მართალი, უეშმაკო. დარწმუნებული ვარ, განზრახ არ მომატყუებდა, თუ როგორმე თვითონ რამე უნებლიედ არ გადაერია. ამიტომ მე მჯერა, რომ სიმართლე მითხრა, და ვინ

იცის ის „მარჯნის კანკელი“ მართლა გორგასლან მეფისგან ინდოეთიდან გამოტანილი საუნჯე იყო, რომელზედაც მოგვითხრობს ვახუშტი. ჩვენის ეტნოგრაფიულ საზოგადოების ვალია ეს გამოიკვლიოს მოხერხებულად, რადგან ზოგი შიშით ვერ ბედვენ სიმართლის თქმასა.

თუ ეს საკითხი საზოგადოების მოწინავეთ არ გვინტერესებს, მაშ მოვმკვდარვართ სულიერად და ჩვენს კულტურის ნაშთებს ბარემ ეს ჩვენი ტერიტორიაც ზედ მივატანოთ—უცხო თესლებს დავურიგოთ: შენდობა ვათქმევინოთ...

ახლა მეორე ამბავსაც მოგახსენებთ—საარაკოს.

1890 წელს შემოქმედის მონასტრის (გურიაში) სიძველეთ რომ ვსინჯავდი, ერთი საკმაოდ მოხუცებული ბერი თავს მადგა. სხვები რომ მომშორდნენ და მარტოდ დავრჩით, ეს ძველი ბერი უეცრივ აქვითინდა და მითხრა: აი ამ ხატზე (ვგონებ მაცხოვრის ხატი იყო) კაკლის ოდენა ლალები იყო დაკრულიო. როდესაც ლევაშოვი აქ გვესტუმრა ცოლითურთ და ხატები დაათვალიერა, ამ ლალებს დიდხანს დააცქერდა, ცოლს მიუბრუნდა და უთხრა: *Маша, вотъ бюджетъ для тебя бричка!* ნასადილევს ხატი თავის სადგომში დაიბარა, ვინ გავუბედავდით არ წაგვესვენებინა... მას აქეთ დაიკარგა ლალებიო.

თუ მოხუცმა ბერმა იცრუა მის სვინიდიისზე იყოს.

იმავე წელიწადს, როდესაც სამკაულებით განთქმულ ხახულის ღვთისმშობლის ხატს ვათვალიერებდი, უეცრად შემოიჭრა მოხუცი ბერი; ალბად ვინმე დიდი კაცი ვეგონე და ეკლესიის რევიზორი და მეტად აღელვებულის მალალი ხმით შემომჩივლა: აი, აქ ხომ ხედავთ, სამკაული აკლია, კვალს ხომ ხედავთ აქ თვლები მსხდარა, სად არის ის თვლები? —აგლიჯეს, ბატონო; წაიღეს, დაგვლუპეს... კარგად გამოიკითხეთ და გაიგებთ. აი ერთი, ორი... ხუთი... სულ აგლეჯილია და წაღებული ჩემს დროსო...

მოხუცებული ბერი რომ მართალს ამბობდა, ეს ხომ თითქმის ოფიციალურადაც დამტკიცდა. მაშინდელმა გაზეთებმა ერთი ამბავი ასტეხეს იმაზე, რომ ქუთაისის გუბერნატორს თხოვნით წაეღო გელათიდან განსაცვიფრებელის ხელოვნების სახარება უდიანი; უდა ისეთის ხელოვნებით იყო თურმე მოოქვილი მოზაიკით, რომ მისი მსგავსი მეორე არ მო-

იძებნებოდა თვით იტალიაშიც. წაუღია ეს საუნჯე და ის იყო...

გაზეთები მარტო ამ სახარებას მოსთქვამდნენ, მაგრამ რა გამოჩნდა, როდესაც ოფიციალურ ქაღალდების გადათვალიერებას შემოვიღებდით, გამოჩნდა, რომ გუბერნატორის ცოლს, ვილაც აფიკერ *Путялинъ*-ის ხელით სულ გაუზიდნია გელათიდან, რაც რომ მოსწონებია: გაზიდულ ნივთებისა დაუტოვებიათ; და როდესაც ნივთები გრაფიანის უკან დაუბრუნებია, კომისიას არქ. გრიგოლის თავმჯდომარეობით შეუმოწმებიათ და აღუწერიათ. გამოჩნდა, რომ წაღებულ ნივთებისაგან ბევრი არ დაბრუნებულა, ზოგი დაბრუნებულა მაგრამ *„незъ украшеній“*, ე. ი. თვალმარგალიტები გამქრალა, თუ გაყალბებულა! ეს „დოკუმენტი“ იმერეთის ეპ. კანცელარიაშია და ვინმე გულშემატკივარი უეჭველად საქმიანად აღწერს და გამოსცეს ჩვენ შესარცხვენად.

ამგვარად ილუბებოდა დაუფასებელი საარქეოლოგიო ნივთები მცხეთის და სიონის ტაძრიდან; ზოგი რუსეთში გაჰქონდათ, კერძო პირების განკარგულებით, მაგ. საჩუქრად ვლადიკავკაის და ასტრახანის ეპისკოპოზებისთვის; ზოგს შლიდნენ (მაგალითად ძველ მიტრებს) და იმათ მასალისაგან ახალ ფორმის მიტრებს და სხვა სამკაულებს აკეთებინდნენ მოსკოვის და პეტერბურლის ხელოსნებს. ვინ იყო ხმის გამცემი ან ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას?

ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ (როგორც ბ. საბინინმა გადმომცა) განკარგულება მოუხდენიათ და ბლალოჩინების ხელით რაც რამ მთიულეთში ძველს ეკლესიებში ძველი ვითომ გამოუსადეგარი ნივთები უპოვნიათ, თბილისში „ტორგით“ გაუყიდნიათ. ასე ირწმუნებოდა ბ. საბინინი, ეს პირში მთქმელი კაცი და მართალია თუ არა, ამას გამოაჩენს, ვინც სინოდის კანტორის საბუთებს გასჩრეკავს. ამ გარემოებამ ისე დააფრთხო მთიული ქრისტიანები, რომ მას შემდეგ, როგორც მარწმუნებდა ერთი ბლალოჩინი, მღვდლებს და ბლალოჩინებს ხალხი საეკლესიო ნივთებს სულაც არ ანდობდა, საეკლესიო ნივთებს ცალკე კაცები მიუჩინეს. უფრო სათაყვანო ხატ-ჯვრებს ეკლესიაში არ აყენებდნენ, სადღაც მიუგნებელ ადგილებში ჰმალავდნენ და მარტო წელიწადში ერთჯერ გამოჰქონდათ ტაძრის დღეობაში.

რომ ბლალოჩინის ნათქვამი სიმართლესა ჰგავს, ამაში თითონ მეც დავრწმუნდი. როდესაც მთიუ-

ლეთში დაედიოდი (ოციოდე წლის წინად) იმ ამორჩეულ კაცების ნებადაურთველად მღვდლები ძველ ხატ-ჯვრებს არ მიჩვენებდნენ — ხალხი „ამიბუნტდებოა“. როცა ამორჩეულები მოვიდოდნენ ხოლმე, ესენი ხელსაც არ მაკიდებინებდნენ: ნივთები დიდის მოწიწებით თვითონვე ხელში ეჭირათ და ისე მაშინჯვინებდნენ შიგ ეკლესიაში. მარტო სახარება გამატანიეს ეკლესიიდან, მაგრამ იმასაც გამოედევნენ მღვდლის სახლში და თვალს არ მაცილებდნენ მუშაობის დროს.

როცა ჩვენს კულტურულ ნაშთებს და სიწმიდეებს ჩვენვე ზურგი შევაქციეთ, მადა გაეღვიძათ უცხოელებს, მოედვნენ ჩვენს ეკლესიებს და გააქვთ იქიდან საუკუნოებით მოგროვილი სიწმიდეები ზოგი ყაჩაღურად (მეტეხი, ოყურეში, გელათი და სხ.), ზოგიც ქურდობით ანუ სყიდვით... დაიკარგა თამარ-მეფის გულსაკიდ ჯვრიდან „ძელი ცხოველი“ (ხოზი), მოიპარეს ქუთაისის საკრებულო ტაძრიდან „სამსჯვალე უფლისა“, რომლის ერთი ნახევარი (ნაჭერი) არჩილ მეფემ რუსეთში გაიტანა და დღეს მთელის რუსეთის უდიდესი სიწმიდეა ამისი ბუდე (Ковчегъ). 1878 წელს მე ვნახე მოსკოვის საეკლესიო მუზეუმში წარწერილიანი: „მეფე ყოვლისა საქართველოსა დავით ძე რუსულანისა აღმშენებელი წმიდისა სამსჯვალისა სასვენებელისა ამის“ (ეს მეფე იყო შვილისშვილი თამარმეფისა.

აი, სწორედ ამ სამსჯვალის (ქრისტეს ლურსმნის, რომლითაც ჯვარს მიაჭედეს და 326 წელს კეისარმა მირიანს აჩუქა) ნაჭერი იყო ის ლურსმანი, რომელიც ამ შვიდიოდ წელიწადს წინად უცხო ერის ხალხმა, დღისით-მზისით, მოიპარეს ეს ჩვენი ეროვნული საუნჯე და თან გააქანეს აბხაზეთის კათალიკოზის რეგალიები და განთქმულს ბიჭვინტის ხატსაც ერთი ფრთა მოაგლიჯეს...


ვაჟმე, რომ დამტირებელიც არ დაგვრჩენია: ჩვენი ეროვნება იშლება, იხრწნება, ჩვენს ნაოხარს იტაცებენ, იყოფენ ტამოშკიანეები, იპარავენ ექსპროპრიატორები, ჰყიდულობენ რასკოლნიკები... სოფელი გვინახეს უძაღლო, ტაძარი — უპატრონო, და აი კიდევ ეპატრონებიან ეშმაკები!

ეგრე.

P. S. ამ „ისტორიულ“ მიმოხილვას, ამ დღეებში დაერთო კიდევ ერთი მზაკვრობა-მკრებელობა: ვიდაც ბოროტმომქმედებს სდომებიანათ გატაცება ოქონის მღვთის-მშობლის ხატისა, მაგრამ ხალხს მოუსწვრია, უცემია და პოლიციისათვის გადაუცია.

პოლიციას კიდევ ოქმი შეუდგენია და ბოროტმომქმედი განუთავისუფლებია. მას ბევრი რამ უბედურება სხვაც ერთვის საეკლესიო, მაგრამ ჯერ-ჯერობით პატრონი არ უჩანს.

ეროვნული ბიზლირთხედი.



მ ე ტ ო ქ ე ნ ი

ამბავი გურულთა ცხოვრებიდან ა. ტ. სნარსკისა.

ზურაბი და სანდრო უოველთვის და უოველგან მეტოქეობდნენ. მატარაობიდანვე ასინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ძაღაში, სიმარდეში, სიმდურაში. ჭიდაობა იყო, თუ თამაშობა ისინი უოველთვის ბავშვების ორი მოწინააღმდეგე გროვის წინამძღვრები იყვნენ და ხან ერთი სჯობნიდა, ხან მეორე. მაგრამ ეს მეუღლივი მეტოქეობა შათ კარგს ამხანაგობას ხელს არ უშლიდა, და ხშირად დადიოდნენ ერთად ხან მეზობლის ბაღში გადასაზრად, ხან მახლობელ ტყეში ფრინველეებისა და მატარა ნადირებისთვის მახის დასაგებად.

ასინი ეხლა უკვე კარგად დაკავებდნენ; ორივეს ძალიან უხდებოდა ჯამაში გურული ტანისამოსი. შათი მშვიდობიანი მეტოქეობა კი ძველებურად მიდიოდა და თავს იჩენდა ხოლმე: ცეკვაში, ნადირობაში, ოსმალებთან შეტაკების დროს და ჯამაშითა გულის მოგებაში. ორივეს ძაღლა ეჭირა თავი. ორივე მშობლების სიამაყეს და სიმშობლო სოფლის მშენებას შეადგენდა. სანდროს უფრო ფიციანი, მაგრამ კეთილი და წრფელი გულა ჰქონდა; ზურაბი კი უფრო თავდაშტერი, თავმოყვარე იყო, შეურაცხყოფას დიდხანს არ ივიწყებდა და არავის არ ანტიებდა ამას. მაგრამ ჭკუა და მოქცევის სიმარჯვე ზურაბს აძლევდა მას, რასაც სანდრო გულწრფელობითა და ჰირდაზიარობით იღებდა. სცხორებდნენ კარგად, რაც შეეუერება გლეხ-კაცს, დიდი ხანია ერთად იყვნენ, მაგრამ ერთხელაც არ მოსულათ ერთმანეთთან ჩხუბი, და არც დიდა დავალება აღმოუჩენათ ერთიმორისთვის, რაც მეტად შლის და ახდენს ამხანაგებში წრფელს და მოკიდებულებას.

რიონის სამხრეთით, ახალციხისა და აჭარის მთა-გრეხილის გასწვრივ მისდევს მთელი გროვა მატარა-მატარა მთა-გორებისა და ველებისა. აი ეს არის გურია. რიონიდან სამხრეთისკენ დაუოლეებით იწეება ერთი გზა, რომელსაც მიჰყავს ოზურგეთში. ეს გზა მიდის დედეუებისა და მთებზედ, ხან მადლა ადის და ხან დაბლა ჩუქანება, მაგრამ აქ არსად არის შესახედავად შესაზარი

ცაგი მთის კალთები, არც თოვლით დაფენილი მთის მწვერვალები; უკვლავიერი აქ საამო სახასიათო. აქ არ არიან მადლა მთებზედ მიკრული სოფლები და ერთმანეთზედ პილადული სახლები; აქ თავისუფლად, უფრო ფართოდ სცხავრებს ხალხი. იმათ არ ეშინათ ცაღვე, მოშორებით ცხოვრებისა და ერთმანეთისაგან კარგად დაშორებით დგანან მათი ადგილი, გარემომარტყმული, მწვანე ხეების ჩრდილით დაფარული. გზაზედ მისდევს ჩარაკებული წიფელი, წახლი, კაკალი და მათზედ კიდევ აცოცხლებულა ბაბილო და მადლიდგან ჩამოუშვრია ტკბილი, ნურწყუმომტრელი მტკვნება. იქ, დედე რამ ფართოვდება და გზა ვაკეზედ გამოდის, გზის ორთავე მხარეს შეჯგუფულია რამდენიმე სახლი და შემდეგ მისდევს დუქან-მალაჩიების რიგი. შორს ველზედ მისდევს ჩხულება, მწვანე მთები ერთმანეთს შორდებიან მარჯვნივ და მარცხნივ, და მკზავრი მიდის სიმაჩლითა და ღომით დაფენილ მინდვრებზედ, სადაც წენარად მიჩანს ქაქებს ხატარა მდინარე. თბილს დღეს, შემოდგომის მოახლოებისას, როცა მინდვრები უკვე აქროსფრად ფერადდებიან, როცა ღომის მსხვილ-თავთავიანი უახა დედავს ხელად მონაბურს ნიაგზედ, როცა სიმიანი გავსილია და მისი ქოჩორი გაშავებული, — სახეტართა, სასიამოვნო გავლა ამ კურთხეულ მხარეს, სადაც მიწა წელიწადში ორჯერ მოსავალს იძლევა, სადაც დამუარებულია მხოლოდ მშვიდობა, შრომა და სიამოვნება.

ერთი ამისთანა სოფელი კახტა გურიისა იყო ზურაბისა და სანდროს სამშობლოც.

მაგრამ ადამიანი ვოველთვის აფუტკის თვით მშვენიერს ადგილებსაც კი, ავსებს მათ ცრემლით, კვნესით წყევლა-კრულით. ასევე იყო აქაც. გზის შორი-ახლო, მადლა კორაზედ, მავად მოსჩანდა შენობა-კოშკი. დიდი ხანია რაც ის აშენდა და დიდი ხანიც ჭეღობის შოკად ახლო-მანლო სოფლებს. დიდი ხანია ხავსით შემწვანდა მისი კედლები და სახურავი: ავით ცხელი ზაფხულის დღესაც კი ცხარე მზის გამცხობველებელი სხივები ვერ ანათებენ მის ბნელს კედლებს. შუბლ-მეკვრით, შუქართა გადმოიფურება კოშკი მადლიდგან, ბორბტად იტქირება ირგვლივ და მკზავრს რაღაც შიშსა ჭკვრის, და იგიც ჩქარობს მალე წავიდეს, ჩქარა გასცაღდეს მას. ეს აქური თავადის კოშკია.

იმ დროს, რომელზედაც ჩვენ აქ ვლაშარავობთ, ბატონი სრულ-უფლებიანი მბრძანებელი იყო თავის სამფლობელოში. სამართალსა და კანონს მასთან ძალა არა ჭქონდა, აუტანელ შრომასა და ბეკარასთან ერთად ხაღხს ერთი სამწუხაროცა ჭქონდა: ღამაზები არიან გურული ქალები და ხშირად მოჭევებოდნენ ხოლმე ისინი კოშკ-

ში, რომ იქიდგან გაუმატიურებულ-ჩამუსახლილები გამო-სულიყვნენ.

ზურაბისა ჭეგანდა მეტად მშვენიერი და ის უკვე 13 წლისა იყო. ერთხელ, თავადი იმის უმებში დადიოდა ხარჯის ასაკრეფად, იგი ესტუმრა ზურაბის სახლს, სადაც კარგა ხანა დარჩა, — და შეამჩნიეს, რომ მას როგორღაც თვალში მოუვიდა ზურაბის და. ეველამ იცოდა; თუ რას ნიშნავდა ეს: ჭერ თავადის ჭარამხანაში ცხოვრება და მურე მსმალეთში გავიდვა. მაგრამ თავადი უკვე ხანში შესული იყო, მთელს თავის სიცოცხლეში სცოდავდა და ეხლა ცოტა შიში შეეპარა. „ვიბიცის, უმა სანდო არ არის! ფიქრობდა იგი, ქალის ძალით წაუეანა, უხერხულია, ხაღხი ადედეება. მეზობელი თავადი კი უაყველთვის მზად არის თავს დამეტეს და უკვლავიერი წამართვას... სჯობს, როგორმე უმარჯვოთ და მოვიპაროთ იგი“ და, როცა თავადი წავიდა, ზურაბის და სანდრომ შეამჩნიეს, რომ თავადის შინა-უმებში ხშირ-ხშირად დაიწვეს ახლო-მანლო სიარული და ხანდაისხან სახლშიაც შედიოდნენ სხვა და სხვა მიზეზებით. ჩვენმა მეგობრებმაც გააოჩქერეს თავისი ჭეგულის უური.

უქმე დღის საღამო ხანი იყო. სანდრომ შეამჩნია, რომ ერთი დუქანის მახლობლად იჯდა რამდენიმე უმაწვილი კაცი, რომელთა შორისაც კრია ზურაბი და ერთი ყიდაც უნობი, რომელიც მღეროდა, მხიარულად უსმობდა რაღაცას და ბლამადა თხოულობდა ღვინოსა და თაფლსა. ეველანი მხიარულობდნენ, იცინოდნენ იმის ხუმრობაზედ; ზურაბისაც ემჩნეოდა, რომ ცოტა შექვიფიანებულყო. ხმა-მადლა ღამარავობდა, იცინოდა. ეველას ეს სულ რაღაც არა ჩვეულებრივსა ჭგავდა. ზურაბს ღვინო საზოგადოთ არ ეკიდებოდა, მაგრამ ეველამ იცის, რომ აქური თაფლი მავნებელია. ფუტკარი აგრეგებს იელიან თაფლსაც, რისგანაც ადამიანი მალე თურება, ბოდავს და ავად ხდება. ამიტომ უნობმა სანდროს რაღაც ეჭვი აღუძრა. ის მაინც იმათთან არ მივიდა, მოუარა ახლო ბოსტნებზედ უგანიდგან. და იქიდგან დაუწყო ზეგრვა ზურაბის სახლს, მაგრამ საეჭვო ვერა ხანა რა. უკვე შეღამებული იყო, როცა ამხანაგებმა მოიუვანეს უკონოდ მთვრალი ზურაბი, საცილით შეაგდეს ახლში და წავიდნენ. სანდრომ მხოლოდ ეხლა დაახება თავი თავის სამშკურავს, ფრთხილად, მიზარვით მივიდა კარებთან და ოდნავ დააკაკუნა; ზურაბის მამამ ფრთხილადვე გაადო კარი, გაუკვირდა, მაგრამ იმ წამსვე სიამოვნებით შეიუვანა სანდრო სახლში ღამის გასათევად, რადგანაც ზურაბი მთვრალი იყო და მისი გული კი რაღაც უბედურობას ელოდა.

ამათ სადგომს სარმთადგენდა ერთი ათახი, რომელსაც ორი კარი ჭქონდა: ერთი ქუჩისკენ, სადაც და-

რჯობდა მოხუცი ზურაბის მამა; მეორე ეზოში — ვას-
ვალი, რომლის ახლოსაც მიიძალა სანდრო. კედლებთან
გამართული იყო ხაღიებით დაფენილი ტახტი; ერთს
მხარეს ეძინათ ქალებს, მეორეს იწვა ზურაბი. ჩქარა
მოედი სახლი ძილს მიეცა. არ ეძინა მხალად სანდროს
და უურ-მასხვილად იყო.

არ ეძინათ აგრედვე მათ შტრებსაც. ორი მარჯვე
და მძლავრი ბიჭი იყო ამორჩეული ბატონის სურვილის
ასასრულებლად. ერთს უნდა გამოეტანა ქალი, ხოლო
მეორეს მასუხი გაეცა უგრძობლად მთავრადი ზურაბისა
და მისი მოხუცებული მამისთვის. ყველაფერი ნუმად
უნდა მომხდარიყო, სწრაფად, რამდენსამე წუთში. მას-
ლობელ ტეპში კიდევ დამალული იყო მათი მესამე ამ-
ხანაგა სამი ცხენით.

შუა ღამე იქმნებოდა, როცა ბატონის სურვილის
ამასრულებელი შემოვიდნენ უკანა კარიდგან. ერთს
წუთს შედგნენ: ღამე ბნელთ იყო, ოთახში არ შეიძლე-
ბოდა არაფრის გარჩევა, ამისთვის უნდა თვალი დაეკვირ-
ვებინათ, უური დაეკდოთ, გაერჩიათ. სანდრო ამ დროს
ზურაბის ახლო იყო და უცქეროდა, საით წავიდნენ ავა-
ზაკები. ბევრა ხანი გაგრძელდა ეს წუთი, ცხადად ესმო-
მოდა იმას თავისი გულის ცემა. უცბად, იმიტომ რომ ცივი ჭე-
რი შემოფარდა სახლში ავაზაკების შემოსვლის დროს, ალ-
ლო აიღო, თუ ისე იქლის ბრალი იყო, ზურაბმა წამო-
იყვირა, წამოდგა და ისეუ ძაღში, იტაცა ხანჯალს ხელი,
მაგრამ იმავე წუთს ავაზაკის ხანჯლის შირმა გაუარა გვერ-
დში და კვხესით, ჭერ ძილსა და ღვინოსაცან ისეუ გამო-
ურკვეული, დაეცა ისეუ. ავაზაკს არ ეგონა იმას გვერ-
დით არის ვინმე კიდევ, და თიფონაც იგრძნო საშინე-
ლი, სასიკვდილო ჭრალობა გვერდში და ძირს დაეცა.
გაისმა უვირილი, დაეცა კიდევ რაღაც სხეული. „დედა
მოიშორეს თავიდეგან; — გაიფიქრა სანდრომ და გაუარდა
ოთახის მეორე კედლისაკენ. ამ დროს შავმა აჩრდილმა
უკვე გაიხურა კარები, და ეზოში გაჩნდა. ხელში რა-
ღაც უფართხალებდა. რამდენიმე ნახტომით დაეწია იმას
სანდრო, რადგანაც უჩინდს თავისუფალ სირობის უშლი-
და მძიმე ტვირთი, ძლიერად ჩაჰკრა ბეჭებში ხანჯალი და
მიწაზედ დასცა სახამ ის მახვლებოდა რასმე.

მამამ გვიან გაიგო, დედა გაბრუებული ეგდო, თუმ-
ცა დაჭრილი კი არ იყო. ზურაბი დაეჭრათ, თუმცა სა-
სიკვდილოდ კი არა: ხანჯალი აცურებულიყო გვერდზედ.

ყველაფერი სწრაფად მოხდა, სულ რამდენსამე წუთში.
ახლა უნდა აღმოეთხურათ ყოველნაირი კვალი ქალს საქ-
მრო ქვეანდა უკვე, ისა სცხოფრობდა მახვობლად; სან-
დრომ იმ წამსვე შეატეობინა მას, მამისეუ გადსწევი-
ტეს: შეკაზმეს ორი ცხენი, და გურული თავისი სცო-
ლეთი გაიქცა სამხრეთისკენ, მთებს იქით, აჭარელებთან.
სხვა გზა არ იყო.

მეორე დღეს ყველასთვის ცხადი იყო, რომ დაჭ-
რილ ზურაბს არ შეუძლო ორი ავაზაკის მოკვლა, რომ
იმისთვის უშველია იმის დასთან გაქცეულ ამხანაგს რო-
მელსაც გაუგია, რასაც ახირობენო და სახლთან უუარა-
ულნია. სანდროს საწინააღმდეგო არაფერი საბუთი არ იყო:
არაფის არ უხანავს, როგორ შევიდა ის ზურაბის სახლ-
ში. აჭარელებთან გაქცევა იმ დროს იშვიათი არ იყო.
ქალი აღარა სჩანდა, და თავადი მითი ინუგეშებდა თავ-
სა, რომ მისს სოფლებში სხვებიც ბევრნი არიანო. ავა-
ზაკები უცხონი იუვნენ, დაქირავებულნი. საქმის ხელ-
ახლა დაწყობას აზრი აღარა ჰქონდა... ავაზაკები შეიძ-
ლებია ოსმალებიც ეოფილიყვნენ.

სანდრო ეჭვს გარეშე იყო, რადგან ყველამ კარგად
იცოდა მისი დიდიხნის სიუვარული ზეღმისადში. სანდ-
რო უიძიროდ აჭარელებთან არ გაიქცევა. მაგრამ
ჰყავს იგი დაჭერილი თავის სატრფოს! ღიდი ხანია,
რაც ის თხოულობს იმას, მაგრამ ზეღმის მამა, თუმცა
ღარიბი, მაინც აზნაურია, და აბა როგორ იკადრებს
გლებს სასიძოდ. ამიტომ სანდროს ქალს არ აძლედა.

ზურაბი მალე მოჩნა, მაგრამ რაღაცხაირად გამოი-
ცვალა: უწინ ყოველთვის დინჯი და თავისი თავის მორ-
წმუნე, ალერსიანი და თავაზიანი — ეხლა რაღაც ჩაფიქრე-
ბული, ბრაზიანი, აჩხვლი გახდა; თითქოს არაფერი ასია-
მიფიქრებდა. ყველაფერი შესძაგდა, აღარ შეუძლო, ან არ
უნდოდა თავის დაჭერა; თითქმის გარეგნობითაც კი გა-
მოიყვალა: როგორღაც ჩამოხმა, ქვეშ-ქვეშ იუურებოდა,
და ისე ამაყად და წელში ამართული აღარ დადიოდა,
როგორც წინად. ზურაბმა მხურვალე მადლობა გადაუხადა
სანდროს თავისა და დის სახელით. მათ შეჭოფიციეს კრთ-
მანეთის ძმობა საუკუნო; მაგრამ ამის შემდეგ კი სანდ-
რომ შეამჩნია, რომ ზურაბი გაურბის მას. შეხვედრის დროს
ხაწხვეტ-ხაწხვეტ ელავარაკებოდა და სცდილობდა რამე
საბუთი ეზოყა და ჩქარა გასცდოდა. სანდრო ვერ მიმხვდა-
რიყო ზურაბის ამგვარ საქციელს.

ზურაბი კი ამ დროს იტანჯებოდა. მთელი იმისი სიამაჟე, მთელი თავმოყვარეობა დამცრობელი იყო. როგორ? იმან, ზურაბმა, ვერ შესძლო თავისი დის დაცვა, ის დაათურეს როგორც ბავშვი, სიცილით შეაგდეს სახლში და მას, მთვრალს, მძინარეს, შხალად უღონოდ ფარხალი შეეძლო. ყველაფერი სანდრომ მოიმოქმედა, მოიქმედა ისე, რომ არც კი უუვარდა მისი და. ეს ზურაბი მისკან დავალებულია დის ნამუსითაც. რა ჰქნას? როგორ გაუსწორდეს? როგორ მოიშორეს მისი დავალება? მაგრამ ამას გარდა ზურაბსაც უუვარდა ზულში და მზად იყო ეგრედვე თავ-განწირვით ეძებნა იგი. სანდროსაცან რომ დავალებული არა უოფილიყო, ამას თავისუფლად, გაბედვით შეეძლო ემოქმედნა; მოინარაგდა ქალს, თუ სხვანაირად ვერ ჩაიგდებდა მას ხელში. ეს ზურაბი უნდა წასულიყო იმის წინააღმდეგ, ვინც მას სიცოცხლე შეარჩინა. ზურაბი ძლიერ იტანჯებოდა, გამოუთქმელად...

სტკიოდა გული... დადგა შემოდგომა, მოვიდა რთველიც, უფასო მხრიდგან მოისმინა სიმღერა, ხალხი მხიარულბდა. უფასო უქმითა სარგებლობდნენ, უფასო შემთხვევით, რომ ერთად შეკრებილიყვნენ და ეცეკვათ. და აი, ერთს ამისთანა დღეს, როცა საღამოს ნიაგმა დაჰკრა და ააკრილა ქვევანა, ერთი სახლის წინ ცეკვა-თამაში გაიმართა. იმოკეს დაირა, საღამური, ჩონგური, მოგროვდა უმაწვალი და მოხუცი; შემოერთეს გარსა და დაუწყო მოთამაშეებს ცეკრა. კობტად და მოხდენით ცეკვავდნენ გურულთა ქალები, თავისუფლად და წენარად იცვლიდნენ წენარად იცვლიდნენ ადგილს, ატეუებდნენ მოთამაშე ვაჟს, თითქოს ეს არის უნდა ხელში ჩაუარდესო, კვლავ უსხლტებოდნენ ამით ხელიდგან, და ტანის ღამაზი რხევით გარბოდნენ მორე მხარეს. მართალია, ძალიან ღამაზ თვალებიანი იყვნენ იქ მყოფი ქალები, მაგრამ თვითონ ცეკვავდნენ იტანებდა უმაწვილ კანთ, მათი სიუმაწვილე და ფეხ-მარდობა ეგრედ იწევდა, მოხუცებულთ სისხლს უხურვებდა და ტკბილად აღელვებდა ყველას გულს მზე თავის უკანასკნელ სხივებს უცხავინდა ქვეუნიერებას გამოსამშვიდობებლად და იქაურობას. აქროსიყვარდებდა.

სიცოცხლით სავსე სახასავი იყო: ყველას რაღაც სიხარულია დიმი უქროდა სახეზედ; ყველა აღელვებული და აღტაცებული იყო, როცა ბოლოს გამოჩნდნენ ზულ-

მი და სანდრო. მაურეკბელთა წრე გაირღვა, ზულში შევიდა და მას მიჰყვა სანდროც. მოწონების ხმა გაისმა ირგვლივ. სანდრომ დაუკრა ზულმის თავი, რომელმაც უმასუხა თავის თანავ დაქნევით, დადგინდა დადგინდა ერთმანეთის პირდაპირ. საღამური და ღამის პატარა ხანს შეჩერდა, თითქოს იმისთვის, რომ ამოესუნთქათ, და შემდეგ გაორკეცებული ძალით განეგრძათ. ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ყველას რაღაც წინასწარი გრძნობა სიამოვნებისა ედო გულში. აი საღამურმა და ღამის ხელ-მეთრედ დაიწყო და ყველა იქ მდგომთაც ტაში ააუფლეს. მაგრამ სანდრო და ზულში ვერ ისევ ერთს ადგილას იდგნენ, ერთმანეთის პირდაპირ. ვერ თვით ამათი ცეკვარც კი კაცს სიამოვნებასა ჰკვირდა: სანდრო—უმაწვალი, ღამაზი, მოყვანილი. წვრილი წელით; მთლად თითქოს ფოლადის ქანდაკება, სავსე მისწრავებით, სიცოცხლით, ცეცხლით; თვალები უბრწინავდა, ნესტოები ცოტად ებერებოდა; ის სწოვდა საღამურის ხმებს, ზეადივსებოდა მითი, ხალხის საერთო უურადლებით, და უოველს წუთს მზად იყო დაეწყო ცეკვა. და როგორც კარგად ცხედნილი რაში ჭართში ველანა სდგას ერთს ადგილას წენარად, ისე სანდროც მოხდენით, ერთს ადგილზედ მარდად ათამაშებდა ფეხებს; და ყველა იქ მყოფი უმაწვილი კაციც ასდევდა მას. ფეხები უცმუკავდათ და უნებლიედ მიხტოდნენ წინ, ხალხ ქალები მოუთმენლად ელოდნენ, აცა, როდის დაიწყობს, როდის გახტებაო...

გ. ნამორაძე.

(შემდეგი იქნება)



რელაქტორ-გამომცემელი

რ. გობაშვილი.

გამართულია ხელის მოწერა 1914 წლისათვის

ყოველ დღიურ ხაზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



„სახალხო გაზეთი“

წელიწადი მეხუთე

1914 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის.
კვირობით სურათაგინანი დაგასტავით.

პრემიად მომწერანი მიიღებან სამსწიგნს:

პირველი წიგნი „უგვირგვინო მეფენი“ სანდრო შანშიაშვილისა, „მიმკრალი შარავან-დელი“ ვ. ბარნოვისა და სხ. მეორე წიგნი „უცხოეთის მწერლები“, მესამე წიგნი სამეცნიერო კრებული.
გაზეთის ფასი: თბილისში და მის გარედ წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით 4 მ. 50 კ. 3 თვით 2 მ. 25 კ. საზღვარ გარედ: წლით 15 მ. 6 თვით 7 მ. 50 კ. 3 თვით 3 მ. 75 კ.

ცალკე ნომერი ყველ გან შაურად; დამატებიანი შვიდ კაპეიკად.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ Груз. газ. „Сахалхо Газети“ поч. ящ. 190.

1894 წლიდან 1914 წლამდის

საუკეთესო დგინოდ ითვლება დგინოდ

საზოგადოება „კახეთი“-სა

ტელეფონი: № 73 და 3-51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63 და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.

